ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N 4

სხდომის ჩატარების დრო:

23 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე, ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ლ.სანიკიძე, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გ.კილაძე, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 29 წევრი

არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი ზ.ლომინაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: ი.უგულავა, დ.ერემეიშვილი, ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი მ.მამასახლისი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი ე.გრიგორაშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა

პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის, ბატონი **თ.მესხის** წინადადებით, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს ქუთაისის კოლორიტული პიროვნების, ბატონი თ.მონიავას ხსოვნას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დღეს არის საქართველოს სუვერენიტეტისათვის დაღუპული ქართველი გმირების, იუნკერების ხსოვნის დღე. ჩვენი ფრაქციის სახელით, მინდა ქედი მოვიხარო ამ გმირების წინაშე და განვაცხადო, რომ ჩვენ ისევ ვრჩებით იმ პრინციპების ერთგულნი, რასაც ჰქვია საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენიტეტისათვის თავდაუხრელი, გმირული ბრძოლა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დღეს, ნამდვილად მნიშვნელოვანი დღეა. ეს დღე უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობას და იმ გმირების ისტორიას, რომელსაც იუნკერებისა და თითოეული ქართველის მხრიდან საოკუპაციო ძალებთან ბრძოლაში გმირული თავდადება ჰქვია. გიერთდებით და დღევანდელი დღე არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა ზრახვები აქვს იმპერიალისტურ რეჟიმს და ამავდროულად, იმ რეჟიმს, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ინტერესები. ვფიქრობ, ეს პროცესები კიდევ ერთხელ, მკაფიოდ ასახავს იმ ზრახვებს, რასაც ჰქვია ტერიტორიების სუვერენიტეტის შელახვა და ოკუპაცია. სამწუხაროდ, ეს ფაქტი გრძელდება და ვფიქრობ, რომ გლობალური სამყარო, მათ შორის

თანამეგობრობა, ამას ნათელ და მკაფიო პასუხს გასცემს. ჩვენც, თანმიმდევრული პოლიტიკით, ერთმანეთის თანადგომით უნდა გავუმკლავდეთ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც უკრაინის, დეოკუპაცია მოხდება და ეს პროცესი მივა იმ წერტილამდე, რასაც თავისუფალი ქვეყნის განვითარება ჰქვია.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 23 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დღის წესრიგის პროექტს მეორე ნომრად დაემატა საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ამასთან, დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-6 საკითხი: „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს №1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომდინარე აქედან, თავიდან გადაინომრა დღის წესრიგის პროექტის საკითხები),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ეკა გრიგორაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ, დღეს ვიხილავთ ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში ცვლილებებს. ვინაიდან, ამ სამსახურთან დაკავშირებით გვექნება მსჯელობა, მინდა მოგახსენოთ, რომ გუშინ დამიკავშირდნენ მე-9 საჯარო სკოლის მშობლები და სკოლის პედკოლექტივი. საქმე ეხება მე-9 საჯარო სკოლის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. ეს სამუშაოები დაიწყო 2020 წლის

28 ოქტომბერს და დღემდე მიმდინარეობს, როცა ამ შენობის ჩაბარება უნდა მომხდარიყო ერთ წელიწადში. სამუშაოების გაჭიანურების გამო, ზარალდებიან სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გადანაწილებულები არიან მე-11 და მე-12 საჯარო სკოლებში, გადასულები არიან სწავლების დისტანციურ რეჟიმზე, რაც მოგეხსენებათ, რომ არ არის სახარბიელო. ასევე, მინდა დავამატო, რომ ხელშეკრულება გადაგრძელებულია მაისის თვის ბოლომდე, თუმცა, ვიზუალური დათვალიერებით მიხვდებით, რომ ამ დროისათვის შეუძლებელი იქნება ამ სკოლის ჩაბარება. შეიძლება ეს სცდებოდეს საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებს, მაგრამ ძალიან ბევრი შეკითხვა წამოვიდა მოქალაქეების მხრიდან და მიმაჩნია, რომ საჭიროა კომისიურ ფორმატში მოწვეულ იქნეს ქუთაისის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გასცემს დასმულ კითხვებს პასუხს. ხელშეკრულების ღირებულებაა 2971 ათასი ლარი, შუალედური გადარიცხვებით, როგორც მითხრეს, გახარჯულია 170 ათასი ლარი. ესეც მანიშნებელია იმისა, რომ მაისისათვის აღნიშნული შენობის დასრულებული სახით ჩაბარება შეუძლებელია. დღეის მდგომარეობით, შენობა დანგრეულია და იქ სარემონტო სამუშაოები არ მიმდინარეობს. რაც შეეხება მიმწოდებელს, ეს საკითხი არ მინდა განვიხილოთ დღევანდელ ფორმატში, თუმცა, ძალიან ბევრი შეკითხვაა სწორედ ამ მიმწოდებელთან, შპს „დანგასთან“ დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვერ გავიგე, რა კავშირშია ეს საკითხი ზედამხედველობის სამსახურთან და სხდომის დღის წესრიგთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაინტერესებს, რამდენადაა უფლებამოსილი ზედამხედველობის სამსახური გარკვეული ღონისძიებები გაატაროს მშენებლობასთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც ვხვდები, დოკუმენტაციასთან გაქვთ წვდომა. ინფორმაციის სახით მინდა გვითხრათ ვინ არის სამუშაოების დამკვეთი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის შემსყიდველი და მომწოდებელი არის შპს „დანგა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როგორც ვხვდები, თქვენი ინიციატივა ეხება რესურსცენტრის წარმომადგენლის მოწვევას. მე მესმის, რომ ეს საზოგადოებისა და თითოეული მოსწავლის ინტერესია, მაგრამ თვითმმართველობის კომპეტენციას ეს საკითხი სცდება და ჩვენ რა ბერკეტიც შეგვიძლია გამოვიყენოთ, არის ის, რომ მოვიძიოთ ინფორმაცია და დამატებით, ჩვენი შეხედულება გავუზიაროთ კონკრეტულ დამკვეთს თუ შემსრულებელს. მესმის, მაგრამ ზედამხედველობის სამსახური თავისი კომპეტენციით ამ საკითხში ვერ ჩაერთვება, თუმცა, გასაგებია თქვენი პოზიცია, აბსოლუტურად შემიძლია გავიზიარო ეს პროცესი და ამ საკითხის ირგვლივ, თუკი რამე შეუძლია საკრებულოს, მაქსიმუმი გავაკეთოთ კომპეტენციის ფარგლებში. იმ რეფორმის ფარგლებში, რომელიც დეცენტრალიზაციის პოლიტიკას ეხებოდა, ადგილობრივ თვითმმართველობას დაახლოებით ორი წლის წინ გადმოეცა კომპეტენციებით, სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ჩვენ ამ მიმართულებით, სპეციალური საბჭოც გვქონდა შექმნილი, რომელიც გულისხმობდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და კონკრეტული გადაწყვეტილებებიც მივიღეთ, რომელიც განვახორციელეთ შესაბამის სკოლებში. თუ პრობლემის ირგვლივ ამ საკითხს გამოვიყენებთ, კარგი იქნება და თუ შესაძლებელია თვითმმართველობა ჩაერთოს ამ კომპეტენციის ფარგლებში, მზად ვართ. დამატებით რაღაც პროცესში ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან იქნება შესაძლებელი, თუმცა კომპეტენციის ფარგლებში. ვფიქრობ, ზედამხედველობის ფუნქციას ვერ განვსაზღვრავთ იქ, სადაც თვითმმართველობის კოდექსით არ გვაქვს განსაზღვრული მისი შესაძლებლობები. გთავაზობთ, ამ საკითხის ირგვლივ გვქონდეს გარკვეული შეხების წერტილები, მათ შორის თქვენ ფრაქციასთან, თუ გნებავთ გავიაროთ ეს საკითხი კომისიურ ფორმატშიც და მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გმადლობთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გავაკეთებ მცირე კომენტარს. ბიუროს გადაწყვეტილებით, მომზადდა საკითხი, რომელიც ეხება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში ცვლილებას. ვინაიდან, ამ მოწვევის საკრებულომ უნდა მოახდინოს ახალი საბჭოს ჩამოყალიბება და ამაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ოპოზიციური წარმომადგენლობა. ჩვენ ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღეთ წინა საკრებულოსაგან და მათ შორის, მუნიციპალური გენდერული საბჭოს ფუნქციონირებიდან. ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით და საკითხი დავძარით. საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა. ამ საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ გენდერული პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით და ძალიან ბევრი ქმედითი ნაბიჯები აქვთ გადადგმული. ბევრი ხელოვნური მექანიზმი შევიმუშავეთ, რათა პარტიულ სტრუქტურებში გაზრდილიყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. ამან გამოიწვია ის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ჩვენ გვაქვს გენდერული პოლიტიკის მიმართულებით, 102 ადგილიდან საკმაოდ დავწინაურდით და გადმოვინაცვლეთ საკმაოდ მნიშვნელოვნად. ეს პროცესი არ მთავრდება. მნიშვნელოვანი იყო ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ქალთა ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ დემოკრატიზაციის საკითხი პარტიულ სტრუქტურებში ქალთა მონაწილეობის გაზრდით, არის მნიშვნელოვანი სიგნალი, რომელიც მოდის მმართველი ძალიდან. ეს კიდევ ერთხელ გააძლიერებს იმ პოზიციებს, რასაც პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდა ჰქვია და ქალების ეკონომიკურ თუ სოციალურ გაძლიერებას გულისხმობს. ვფიქრობ, რომ მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭო არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც ამ პროცესში ასრულებს მნიშვნელოვან როლს და ჩვენი საერთო პოზიცია იქნება ის, რომ ამ საბჭოში მაქსიმალურად აქტიური იყოს ოპოზიციური წარმომადგენლობაც, სამოქალაქო საზოგადოება, სამთავრობო სექტორი, რომლის გამოცდილებაც ჩვენ გვაქვს და ეს საბჭო, მას შემდეგ, რაც დაიხვეწება და ფორმირდება, მნიშვნელოვან საკითხებს გადაწყვეტს ამ მიმართულებით, ამიტომ

დებულებაში ცვლილება სწორედ ამ პროცესს ეხება. მე, არაერთხელ გამომიხატავს, კომისიისა და პირადი შეხედულება, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეების პოზიცია და ჩვენ ყოველთვის ვდგავართ იქ, სადაც არიან მოქალაქეები და მათი პოზიცია. ჩვენ, ბიუროს სხდომაზე მოგვიწია დღის წესრიგიდან მე-6 საკითხის ამოღება. ამის საფუძველი იყო დაფიქსირებული პოზიცია, მათ შორის, თვითმმართველობის მაჟორიტარი დეპუტატისა და აღმასრულებელი რგოლისადმი მიმართული წერილი. მოქალაქეებს აზრთა სხვადასხვაობა გააჩნიათ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ვალდებულება, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს, საჭიროებს დამატებით შესწავლას და ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ეს არანაირად არ ეხება პერსონას და არ მიმაჩნია სწორად, რომ რაიმე ფორმით კონკრეტული პირის პერსონიფიცირება უნდა გავაკეთოთ, როდესაც საკითხი ეხება ბიზნესს და მათ შორის იმ ინტერესს, რომელიც საჯარო ინტერესია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-4 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 26 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ქალბატონმა ა.კოხრეიძემ, ბატონებმა: ლ.შალამბერიძემ და თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების**

ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების მე-3 დანართის მე-3 პუნქტი: „თანაშემწეები“ ჩამოყალიბდა მე-3 და მე-4 პუნქტებად შემდეგი რედაქციით: 3. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე - 1 ერთეული; 4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე - 2 ერთეული. დანართის მე-4 და მე-5 პუნქტები გადაინომრა შესაბამისად, მე-5 და მე-6 პუნქტებად. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის დანართი ჩამოყალიბდა აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, თავიდან),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ი.ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გუშინ, კომისიურ ფორმატშიც იყო ამ თემაზე მსჯელობა, მაგრამ სამწუხაროდ, დოკუმენტაცია ვერ ვნახე კონკრეტულად თუ რა ცვლილებები შევიდა. ჩვენ ამ თემაზე საკრებულოს რამდენიმე სხდომაზე და კომისიებზეც გვქონდა საუბარი, რომ უშუალოდ მერიის თანამდებობრივი სარგოსა და საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის შესაბამისად მოხდებოდა გადახედვა საშატატო ნუსხისა და მოიმატებდა თანამშრომლების ხელფასები. ბატონო ვანო, თქვენ ეს საკითხი არ გეხებათ, მაგრამ მინდა გავაჟღერო, კიდევ ერთხელ ვაზუსტებ და ვაკონკრეტებ, რომ ვსაუბრობთ იმ ადამიანებზე, რომლებიც არიან სივრცეში, მომსახურებას უწევენ მოქალაქეებს და წარმოადგენენ მერიის სახეს. ასევე, იმ ადამიანებზე, რომლებიც წლებია ელოდებიან თანამდებობრივი სარგოს გაზრდას. შესაბამისად, მოხდეს მათი კვალიფიკაციის, განათლების, ტესტირების შედეგების გათვალისწინება, რომელიც ბოლოს ჩატარდა. ამ ადამიანებთან დაკავშირებით თქვენ დამპირდით და ასევე ჩვენ აპარატის ხელმძღვანელთანაც გვქონდა საუბარი და ბატონმა პეტრემაც ბრძანა, რომ

მუშაობენ ამ საკითხზე და იქნება მოგვარებული. სასურველია, თუ არ გაიწელება ეს პროცესი და მოგვარდება ეს პრობლემები?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და კონკრეტულ პოზიციებზე, საჯარო მოხელეებს ეხებოდა ეს თუ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, მოხდა სახელფასო ანაზღაურების გადახედვა. საუბარია საჯარო მოხელეებზე, რომლებსაც აქვთ კონკრეტული კატეგორიები. შესაბამისად, ამ კატეგორიების მიხედვით მოხდა ხელფასების ზრდა. ის ადამიანები, რომლებიც ამ სივრცეში არიან დასაქმებულები, არიან საჯარო მოხელეების პოზიციებზე კონკრეტული კატეგორიებით. თუ ჩვენ აქ გვინდა ცვლილება, მაშინ უნდა მოვიფიქროთ სხვა ალტერნატიული გზა. ჩვენი მიდგომა ნათელი იყო, როდესაც გათანაბრდა და პრემიერის ინიციატივით მოხდა საჯარო მოხელეების ხელფასების ზრდა. მაშინ თქვენი პოზიცია სხვაგვარი იყო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შეგვიძლია ვნახოთ ჩანაწერებიც. მე რა პოზიციასაც ვაჟღერებ დღეს, იგივე გავაჟღერე მაშინაც და იგივეს გავაჟღერებ მომავალშიც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ხელფასების ზრდა მოხდა და ეს არ არის ჩამკეტი პროცესი. კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დავკონკრეტდები, საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებმაც გაიარეს ატესტაციები, აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და მათი თანამდებობრივი სარგო არ გაზრდილა იმის მიხედვით, როგორც უნდა გაზრდილიყო, ანუ, უნდა მიეღოთ კანონის შესაბამისად. კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ მათ ტესტირებებიც აქვთ გავლილი და შესაბამისი გამოცდილებაც გააჩნიათ, რომ ჩვენი მხრიდან გადადგმულიყო ნაბიჯები. ჩვენ გვითხრეს, რომ იციან ამ

პრობლემის შესახებ და აუცილებლად მოგვარდებოდა. აქ საუბარია იმაზე, როდის მოგვარდება და სასურველია, მოგვარდეს რაც შეიძლება მალე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ნურავის ნუ მივუდგებით გამორჩეულად სამსახურიდან გამომდინარე. აქ ძალიან ბევრი ადამიანია, რომელსაც 24 საათის განმავლობაში შენობაში კი არა, გარეთ უწევს მუშაობა. ნუ დავყოფთ ამ ადამიანებს თავიანთი სამსახურიდან გამომდინარე. გეთანხმებით, აქვთ შესაბამისი გამოცდილება, ჩაბარებული ტესტირება, მოხდა შესაბამისად სახელფასო საზრდოს გაზრდა. ჩვენ, საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად ვთანამშრომლობთ, რომ შემოვიტანოთ კლასები და კლასების მინიჭება მოხდეს შეფასებების საფუძველზე, როგორც ითხოვს ამას კანონმდებლობა და შესაბამისად, მოხდეს სახელფასო ზრდა. გეთანხმებით, რომ ეს თემა მოსაგვარებელია, მაგრამ არა კონკრეტული თანამშრომლების, ან სამსახურების დასახელებით. ასეთი მიდგომა არ მიგვიყვანს სწორ გზამდე. უნდა იყოს საერთო მიდგომა, რომელიც იქნება თანხვედრაში კანონმდებლობასთან და ჩვენ მივდივართ ამ გზით. მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს თემა ამ წელს უკვე დაიწყება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მე მინდა მივმართო ქალაქის მერს. ჯობდა რიგითი თანამშრომლების პრობლემები მოეგვარებინა ხელფასის კუთხით და ამის შემდეგ ეზრუნა თავისი ხელფასის გაზრდაზე. ეს იქნებოდა სწორი და მართებული გადაწყვეტილება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მინდა გითხრათ, რომ ძალიან ცდებით და დაანებეთ პოპულიზმს თავი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პოპულიზმი სხვა რამაა და გარჩევას თუ ისწავლით, კარგია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 28 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, ივანე ჟორჟოლიანის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N9 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N9** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“, გამომდინარე აქედან, აღნიშნული ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“**), ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 24 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა, ქალბატონმა ა.კოხრეიძემ, ბატონებმა: თ.მესხმა, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N10 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N10** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „განსახილველი აქტის პროექტით წარმოდგენილი ცვლილება ეხება საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს-სათამაშო ბიზნესს. ბატონი ზაზა დამეთანხმება, პრემიერის ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც პირველი მარტიდან შევა ძალაში, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 158[5] მუხლი, რომელიც პასუხობს იმ გამოწვევას, რომელიც ეხება სათამაშო ბიზნესისადმი დამოკიდებულებას. ვფიქრობ, რომ საინფორმაციო კამპანიისა და ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, აღნიშნული კანონით გათვალისწინებული რეგულაციები გარკვეულ ეფექტს გამოიღებს. მუნიციპალიტეტებს მიეცათ ამ მხრივ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კონკრეტული ღონისძიებებისა და ადმინისტრირების განხორციელების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, როცა გარკვეული ტიპის შეზღუდვები და აკრძალვები წესდება ამ მიმართულებით. საკმაოდ ბევრი პროცესის წამახალისებელი იქნება ეს საკითხი დადებითი კუთხით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ბ.ბრეგაძე და მ.სიმონიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 8-მა წევრმა, ქალბატონებმა: ა.კოხრეიძემ, ხ.არველაძემ, დ.ფხაკაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: თ.მესხმა, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ეკა გრიგორაშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**დადგენილება N 11** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების: „ქალაქ-მუზეუმის“ შემდეგ, ჩაემატა სიტყვა „ადმინისტრაციული“, გამომდინარე აქედან, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის უმეთვალყურეოდ ან მეთვალყურეობის ქვეშ ყოლა დასაშვებია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე გარდა „ქალაქ - მუზეუმის“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიისა“; დადგენილების პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა მე-6 მუხლი (წესის მოქმედება),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა **ე.გრიგორაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი თანამოქალაქეებისათვის საკითხი, რომელიც დღეს გამოგვაქვს სხდომაზე. ცვლილებები შედის კანონის შესაბამისად იმ დადგენილებაში,

რომელიც გვქონდა მიღებული და საჯარიმო ქვითრებთან დაკავშირებით დღეს ვიღებთ გადაწყვეტილებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „ცვლილებები არ შედის, ეს ახალი წესია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ არსებობს ერთი პრეცენდენტი მაინც ამ მუხლის გამოყენებისა და ქალაქის მასშტაბით ვინმეს დაჯარიმებისა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „დიახ, არსებობს, ინფორმაცია საჯაროა, შეგიძლიათ გამოითხოვოთ და ამასთან დაკავშირებით მოგაწვდით ინფორმაციას, ძალიან ბევრი გვყავს დაჯარიმებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომისიურ ფორმატში იყო ამაზე საუბარი და ქალაქის ცენტრალურ ზონაში განსაკუთრებით უდგებით ამ საკითხს. მე ვიცი, რომ უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებითაც ტარდება ღონისძიებები დასუფთავების ააპი-ის მიერ. ჩვენ არაერთი შემთხვევა გვინახავს, სოციალურ ქსელში სურათებიც, ვიდეოებიც, თქვენც შეგიძლიათ ნახოთ და დარწმუნდეთ, რომ ქალაქის ცენტრში გავლილ ტურისტს 40-მდე ძაღლი მიჰყვება. ხშირ შემთხვევაში, ეს ძაღლები ძალიან აგრესიულები არიან ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოქალაქეებს პრობლემა ექმნებათ გადაადგილებასთან დაკავშირებით. ადამიანებს, რომლებიც პასპორტიზაციას უკეთებენ საკუთარ ძაღლებს, გარკვეულ ვალდებულებას ვანიჭებთ, საჯარიმო სანქციებითაც გამოვდივართ მათ მიმართ თუ შესაბამისად არ მოუვლიან ცხოველებს. მაინტერესებს, რა ღონისძიებებს ვატარებთ უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებით, რომ ეს პრობლემა ქალაქში და განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრში არ არსებობდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „ბატონო ბესო, თუ კარგათ გაეცნობით წესს, ნახავთ, რომ ეს ჩვენი სამსახურის კომპეტენციას სცდება. უნდა მიმართოთ შესაბამის ააიპ-ს და მოგაწვდიან ინფორმაციას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს კითხვა არ იყო თქვენთვის განკუთვნილი. ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას შინაურ ცხოველებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც პასპორტიზაციას უკეთებენ თავიანთ ცხოველებს, უვლიან, გარკვეული პასუხისმგებლობა აქვთ აღებული და ამ დროს, რადიკალურად განსხვავებულები ვართ იმ უპატრონო ძაღლების მიმართ, რომლებიც პრობლემებს უქმნიან ადგილობრივ მოსახლეობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „ქუჩაში ძაღლების მომრავლების მიზეზი არიან ტურისტები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „როდესაც ქალაქში ვხედავთ ძაღლს, ან მსხვილფეხა რქოსან საქონელს, რეაქცია სხვადასხვანაირი გვაქვს. არაერთი ვიდეო ყოფილა გადაღებული ძროხასა თუ ღორზე, სადღაც ქუჩაში, რომ მიატოვა პატრონმა უპატრონოდ და ვაი ქუთაისელების მიერ გადაღებული ვიდეოების გამო, ქალაქი გახდა დასაცინი. ეს, რომ არ გაგრძელდეს და თემა დაიხუროს, ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას. ქალაქში ძროხა და ქალაქში ძაღლი სხვადასხვა თემაა და ამის ერთმანეთთან შედარება არასწორი იქნება. რაც შეეხება ძაღლების თემას, ამასთან დაკავშირებით მუნიციპალური განვითარების ფონდთან მიმდინარეობს საუბარი იმერეთში ცხოველთა ორი თავშესაფრის აშენებასთან დაკავშირებით. ერთი ქუთაისისა და მეორე ზესტაფონის ტერიტორიაზე, რომელიც უნდა მოემსახუროს ზემო და ქვემო იმერეთის მუნიციპალიტეტებს. არ არის საკმარისი მარტო ააშენო ვოლიერი და შეყარო შიგ ცხოველები. მათ მოვლა-პატრონობა სჭირდებათ, ამიტომ, ეს გარკვეულ ხარჯებთანაა

დაკავშირებული. ეს იქნება ინტერ მუნიციპალური პროექტი, რომელშიც შემოვლენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტები თავიანთი დაფინანსებით. ქალაქში, რომ არ იყოს ღორების, ძროხებისა და სხვადასხვა მსხვილფეხა საქონლის ვიდეოების გავრცელების შემთხვევა, ამიტომ, ვუკრძალავთ იმ ადამიანებს, რომლებიც მართალია, უვლიან ამ ცხოველებს, მაგრამ ჰყავდეთ თავიანთ ეზოებში და კარ-მიდამოში ისე, რომ ქალაქის იერსახე იქნეს შენარჩუნებული და მათ შორის სისუფთავეც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როდესაც გვქონდა კომისიური განხილვა, იქ წამოიჭრა საკითხები, რომლებიც ეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებსაც საკუთრებაში ჰყავთ აღნიშნული ცხოველები, რა პოლიტიკას შევიმუშავებთ მათთან დაკავშირებით. ბატონი მამუკას ინიციატივა იყო ეს საკითხი და კარგი იქნება თუ ჩვენ გავითვალისწინებთ სხვა მუნიციპალიტეტებისა და მათ შორის თბილისის თვითმმართველობის გამოცდილებას. მე ვფიქრობ, ძალიან შორს უნდა წავიდეთ და საჭიროა ამ თემის გლობალურად მოგვარება. აქ მნიშვნელოვანია, რომ როდესაც კონკრეტულ მესაკუთრეს აქვს პასუხისმგებლობა კონკრეტულ ცხოველზე, გაიზარდოს ცნობიერება და ჩვენ ბიუროზეც დავაფიქსირეთ, რომ ამ კანონის ადმინისტრირების პროცესში საჭიროა მაქსიმალურად მოხდეს მოქალააქეების ინფორმირებულობა, მათი ცნობიერების ამაღლება და შევხედოთ ამ საკითხს გლობალურად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მიუსაფარი ძაღლების საკითხი არის ძალიან პრობლემური. ნიკეას ქუჩაზე არის ურთულესი მდგომარეობა. იქ იყო ქალაქის მერი არჩევნების წინა პერიოდში. ერთ-ერთ მაცხოვრებელს დაუჩივლია, რომ მიუსაფარმა ძაღლებმა ჩამოუყარეს სარეცხი, რაზეც უპასუხეს, რომ ერთი „ბუხანკა“ პური გადაეგდო ამ ძაღლებისათვის. ეს მე არ მომიგონია და დარწმუნებული ვარ სხვების დახმარების გარეშე გამცემთ ბატონო სოსო პასუხს. ჩვენ ამ თემასთან დაკავშირებით ვაკეთებთ გადაცემას. ამ გამონათქვამზე იმ წამს მეც გამეღიმა და ძალიან გთხოვთ ნუ წამომესევით, ბატონი სოსოს ადვოკატები ხართ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სიტყვა: „ბუხანკაზე“ აქცენტირება რა საჭირო იყო, ხომ შეიძლებოდა არ მიგვექცია ყურადღება. ორივე მხარეს მივმართავ, ნუ გავაკეთებთ პროვოცირებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, თუ შეიძლება საკრებულოს მომდევნო სხდომაზე მოვიწვიოთ ის ხალხი, რომლებიც ამ საკითხს უფრო ძირეულად განიხილავენ და მოგვახსენებენ ამის შესახებ, იმიტომ, რომ მიუსაფარი ძაღლების პრობლემა ნამდვილად სერიოზულად დგას ქალაქში. როგორ შეიძლება ამ საკითხის გადაჭრის დაჩქარება, ეს არ არის ორი დღის წინ წარმოქმნილი პრობლემა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რაც მოხდა გორის ქუჩაზე. ამ პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარებაზე მინდოდა საუბარი და არა ამხელა აჟიოტაჟის ატეხა. პირადად თქვენ გთხოვთ, მეც ვამზადებ მასალებს, მოვიწვიოთ თბილისიდან ვინც იქნება საჭირო და დავაჩქაროთ ეს საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როდესაც დავიწყეთ ამ საკითხის განხილვა, მაშინვე ვახსენე, რომ ჯანდაცვის კომისიასაც ამ საკითხის ირგვლივ აქვს თავის მოსაზრებები, ჩვენც გაგვაჩნია ჩვენი მოსაზრებები, გავშალოთ ეს საკითხი და ვისაუბროთ ამ თემაზე. საკრებულოს აქვს საშუალება, რომ კონკრეტული საკითხების ირგვლივ გავმართოთ დისკუსია იმ ფორმატში, რომელიც ჩვენ გვაქვს. ჩვენთვის, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ეს საკითხი არის მნიშვნელოვანი. განვმარტოთ რამდენი მიმართულებით ტარდება ღონისძიებები, მათ შორის ინტერ მუნიციპალური თავშესაფრის მშენებლობით. რა ფორმა გამოვძებნოთ იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც არა აქვთ საშუალება კონკრეტული ღონისძიებები ჩაუტარონ თავიანთ ცხოველებს. მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით არის მთელი რიგი პრობლემები. ჩვენ გვაქვს ააიპი, რომელიც მუშაობს ამ მიმართულებით. კონკრეტული საკითხების ირგვლივ შეგვიძლია მოვახდინოთ რეაგირება. თუ ბიუჯეტზეა საუბარი, ვიმსჯელოთ იმაზე, რომ უფრო ეფექტურად მოახდინოს ამ სამსახურმა ადმინისტრირება. ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ კომისიურ

ფორმატში და ამ ფორმატს ქალბატონო ანა, გთავაზობთ თქვენ. როგორც საკრებულოს წევრს სრული უფლება გაქვთ ასეთი პოზიცია გამოხატოთ, მაგრამ ჩვენ უნდა დავიწყოთ და მე წარმოგიდგენთ კონკრეტულ ინიციატივას, რომელიც გულისხმობს ეთიკის ნორმებს. ჩვენ, საკრებულოს წევრები, შევთანხმდებით რა ფორმით უნდა გამოვხატოთ პოზიციები. ჩვენ, დამატებითი შეთანხმების საგნად უნდა ვაქციოთ ის ნორმები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს გააჩნია და კარგი იქნება თუ ამ პროცესებსა და ნორმებზე შევთანხმდებით. საკრებულოს სხდომაზე, როდესაც ხალხი და საზოგადოება გვიყურებს, თავი შევიკავოთ გადაძახილებისაგან, როდესაც საკითხის ირგვლივ ვსაუბრობთ, საკითხზე დავაფიქსიროთ პოზიცია. მე მქონდა საუბარი ბატონ გიგასთან, რათა მოხდეს ამ პროცესების რეგლამენტირება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ორივე მხარეს მოვუწოდებ, თავი შევიკავოთ კონფრონტაციისაგან. საზოგადოება იმასაც ისმენდა, როდესაც ბატონმა სოსომ ბრძანა, რომ „ვაი ქუთაისელები იღებენ რაღაც ფოტოებს", ასე სეგრეგაცია საკუთარი მოსახლეობის..... ვინც გაკრიტიკებს, ან ფოტოებს იღებს, არის ვაი ქუთაისელი და ვინც ბატონ სოსოს უკრავს თავს, არის ჭეშმარიტი ქუთაისელი, მე მგონი, მიუღებელია და როდესაც ხარ საჯარო მოხელე, უნდა გქონდეს თმენის ვალდებულება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ვერ ხვდებით განსხვავებას ჩემსა და ქალაქს შორის? მე ქალაქზე შემტკივა გული. ისაა „ვაი ქუთაისელი", რომელიც სურათებს იღებს, ტვირთავს სოციალურ ქსელში და არ აინტერესებს პრობლემის მოგვარება. ჩემთვის კრიტიკა მისაღებია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. საკრიტიკოს ვინც დებს „ვაი ქუთაისელია".

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ჩემთვის კი არაა საკრიტიკო, ქალაქისთვისაა უხერხული, როცა ქალაქში მომხდარის მაღალ დონეზე აფიშირებას ახდენენ და მერე ქალაქისკენ იშვერენ სხვები ხელს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მიმღებლობა კრიტიკის მიმართ, ჩვენს ხელისუფლებას და მის თითოეულ წარმომადგენელს აქვს. კრიტიკა და დემოკრატიული პროცესი სწორედ ამას გულისხმობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „წესს ვიღეთ იმიტომ, რომ გარკვეული წესები დავიცვათ. თუ შეიძლება გვითხარით, როგორ უნდა მოვუაროთ საკუთარ შინაურ ცხოველებს ისე, რომ არ მოვიდეთ წინააღმდეგობაში ამ წესთან, არ მოგვიწიოს ჯარიმის გადახდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი**: „წესში არის გაწერილი, რომ თავად მესაკუთრეს ევალება საკუთარი ცხოველის დაცვა და მოვლა. არ შეიძლება გარეთ გაყვანა და დატოვება. არ შეიძლება ძაღლების ტარება ბულვარსა და სკვერებში ალიკაპის გარეშე. რაც შეეხება უშუალოდ რეგისტრაციას, იქ არის მითითებული, რომ დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ, რაც ეს წესი შევა ძალაში, მეპატრონემ უნდა მოახდინოს ამ შინაური ცხოველის რეგისტრაცია. ეს ხდება სპეციალურ ვეტ კლინიკებში, ან შესაბამის დაწესებულებებში. ამასთან დაკავშირებით, ინფორმაციას ვეტ კლინიკებიც მიაწვდიან. უკვე ექნებათ პასპორტები, იქმნება საერთო ბაზა და ამ ბაზასთან წვდომა აქვს ჩვენ ააიპ-ს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში ებმება ა(ა)იპ „სპეცსერვისი“ და დარღვევის შესახებ, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენი სამსახური გამოიყენებს ადმინისტრაციულ სასჯელს. ჯარიმის ოდენობა არის 20 ლარი კატებისა და ძაღლების შემთხვევაში და განმეორებით - 50 ლარი, ხოლო, პირუტყვის შემთხვევაში - 50 ლარი. ჩვენ ვადგენთ ადმინისტრაციულ ოქმს, რომელიც არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა. გადაიხდის ჯარიმას, მიიტანს ააიპ-ში და მოხდება პირუტყვის გათავისუფლება და თუ არ გადაიხდის, მაშინ მოხდება პირუტყვის რეალიზაცია. თუ რეალიზაციიდან მიღებული თანხები აღემატება ჯარიმისა და შენახვის თანხას, უბრუნდება მესაკუთრეს. შეუძლიათ მიმართონ ა(ა)იპ „სპეცსერვისს“ და

მიიღებენ ინფორმაციას, სად შეუძლიათ დაარეგისტრირონ თავიანთი შინაური ცხოველი და ხარჯებსაც ფარავს მეპატრონე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „როგორ საინფორმაციო კამპანიას გეგმავთ ამ ერთი თვის განმავლობაში, როგორ აპირებთ ეს ინფორმაცია მიიტანოთ მოქალაქეებამდე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს სხდომაზეც გავიარეთ და მოსაფიქრებელია საინფორმაციო კამპანია. ჩემი სამსახური არის სპეციალური სამსახური, რომელიც ახდენს საჯარიმო სახდელების ადმინისტრირებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ამაში ჩაერთვება მთელი თვითმმართველობა, საკრებულო, მაჟორიტარები, დავბეჭდავთ საინფორმაციო ბუკლეტებს, პირდაპირ აღსრულებაში არ გადავა, ამას ექნება თავისი საინფორმაციო კამპანია, ასევე, სატელევიზიოც. ამ ინფორმაციაზე ყველას ექნება წვდომა, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებსაც ჰყავთ შინაური ცხოველები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „თუ გვაქვს დაჯარიმებულების ბაზა და თუ არის შემთხვევები იმისა, რომ ერთი და იგივე ადამიანები ჯარიმდებოდეს. ასეთ შემთხვევაში ეს ინფორმაცია პირადად იმ ხალხს გავაცნოთ, მივაწოდოთ ბროშურები, რათა იცოდნენ, რომ მიღებული გვაქვს წესი. ვეთანხმები ჩემ კოლეგებს იმაში, რომ ქალაქში ძალიან მომრავლდა უპატრონო ძაღლები. ცხოველთა კასტრირებამ თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ ქუჩაში მათი რაოდენობა მაინც ძალიან იმატებს და ამ პრობლემას უნდა ჩავუღრმავდეთ. მე დავაკვირდი და მათ შორის არის ძალიან ბევრი ჯიშიანი ძაღლი, ეტყობა პატრონებმა გამოუშვეს გარეთ. ანალოგიური პრობლემა ჰქონდა ევროპის ქვეყნებს და მათ ეს პრობლემა გადაწყვიტეს. კარგი იქნება თუ მათ მაგალითს

გავიზიარებთ. როგორც ვიცი, იქ მოხდა შინაური ცხოველების ყოლის წესის გამკაცრება. კარგი იქნება თუ ერთობლივად ვიმსჯელებთ ამ პრობლემის მოგვარებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მადლობა ბატონო ამირან, კითხვისათვის. ქალაქის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას. ქალაქის მერმა ისაუბრა და კარგია, რომ საინფორმაციო კამპანიის ფორმები იგეგმება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კომისიურ ფორმატში მუშაობის დროს მართლაც დიდი დრო დავუთმეთ ამ საკითხს. თითქოს უწყინარი თემაა, მაგრამ სანამ მოხდება სანქციების დაწესება, აუცილებლად მიგვაჩნია, პირველ რიგში, საზოგადოების ინფორმირებულობა და ამის ორგანიზებულად განხორციელება. ჩვენ ვმსჯელობთ იმაზე, რომ მოხდება სანქცირება დაჯარიმების სახით. დარღვევის პირველი შემთხვევის დროს ითვალისწინებს თუ არა კანონი ჯერ გაფრთხილებას და შემდეგ სანქცირებას, ვინაიდან, მნიშვნელოვანია ჯერ მოხდეს მოქალაქის გაფრთხილება და ამის შემდეგ მისი ფულადი დაჯარიმება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „მითითებული მუხლები გაფრთხილებას არ ითვალისწინებს. კონკრეტულად მითითებულია ჯარიმა, თუმცა, ეს აპრიორი არ არის. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მოქალაქე გაგვიფრთხილებია სიტყვიერად, რომ განმეორებით შემთხვევაში დაჯარიმდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ძალიან კარგია, ეს კეთილი ნებაა, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით, ეს კეთილი ნება შეიძლება ვერ განხორციელდეს და კარგი იქნება თუ დავამატებთ ერთ პუნქტს. ჯერ მოხდეს გაფრთხილება და ამის შემდეგ დაჯარიმება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ქალბატონი **ე.გრიგორაშვილი:** „ჩვენ კანონით ვხელმძღვანელობთ და კანონში პირდაპირ არის მითითებული ჯარიმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შიდა ნორმატიული დოკუმენტითაც შეიძლება რეგულირება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონო თეა, თქვენი პასუხიც საინტერესო იქნება. როდესაც იმპერატიულ კანონს აქვს თავისი მოთხოვნები, გვერდს ვერ ავუვლით და ამ შემთხვევაში გამოვდივართ იმ კანონიდან, რომელიც მოქმედებს, მაგრამ კიდევ ერთხელ განვმეორდები და ქალაქის მერმაც ისაუბრა იმაზე, რომ კანონის აღსრულების პროცესებამდე ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ საინფორმაციო კამპანიის ჩართულობით ინფორმირებულობის გზით და ამის შემდეგ გამოვიყენებთ სანქციებს. მივედით იქამდე, რომ ფინანსური სასჯელი არ არის გამოსავალი. მოსახლეობის ინფორმირებულობა საკითხს წყვეტს ძალიან ბევრი მიმართულებით. ადმინისტრირების პროცესში არ არის აუცილებელი კონკრეტულ სანქციებამდე მივიდეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი**: „ჩვენ ამ საკითხზე კომისიური წესით ვიმსჯელეთ და საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ. გუშინ შევთანხმდით, რომ ვთხოვოთ აღმასრულებელს, მაქსიმალურად ჩართოს ინფორმირებულობის მექანიზმი. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზეც, რომ ქუთაისის მასშტაბით, უნივერსიტეტებმა ამ კამპანიაში აქტიურად ჩართონ ახალგაზრდები. გამოცხადდეს კონკურსები, მოვამზადოთ ვიდეო რგოლები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ახალგაზრდების რესურსი. ჩვენ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც ვთქვით, რომ ახალგაზრდებთან გვექნეს მეტი კომუნიკაცია. მე პირადად ვნახე კვლევის შედეგები, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტომ განახორციელა რესპუბლიკის მასშტაბით და ქუთაისთან დაკავშირებით იდო

დასკვნა, რომ ახალგაზრდებს არა აქვთ ინფორმაცია და არა მხოლოდ ახალგაზრდებს. ძირითადად ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელით, ე.ი. უნდა გავააქტიუროთ სოციალური ქსელი, იგივე ვებგვერდი და ასე შემდეგ. რაც შეეხება უშუალოდ ამ აქტს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან შესაბამისობაში მოდის ჩვენი შიდა რეგულაციები. თუმცა, ასევე შესაძლებელია ჩვენ გავეცნოთ ჩვენი დამეგობრებული ევროპული ქალაქების პრაქტიკას. ამიტომ, შეიძლება დედაქალაქის პრაქტიკა ვერ იქნეს ჩვენთან განხორციელებადი. ბატონმა იოსებმა ბრძანა, რომ ცხოველებისთვის აშენდება ორი ვოლიერი. ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ წესს გადავხედოთ, ან ახალი შევიმუშაოთ. ბევრი პრობლემა წამოვიდა, მაგრამ ამ ეტაპზე ამ წესის არ მიღება მე, როგორც იურისტს, არ მიმაჩნია სწორად. დაზარალებულს მოუწევს სასამართლოში წასვლა, სასამართლო ეტყვის მერიას თუ რატომ არ აქვს რაიმე მექანიზმი შემუშავებული. ეს წესი არ არის იდეალური, აქ სოციალურად დაუცველების საკითხიც განსახილველია, არიან ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებსაც ჰყავთ 5 და 6 შინაური ცხოველი და თავიანთ საკვებს მათ უნაწილებენ. დონორ ორგანიზაციებსაც უნდა ვთხოვოთ ჩაერთონ. არასამთვრობო სექტორი იქნება თუ კერძო, ამ ნაწილში უნდა იაქტიუროს. შეიძლება ვინმემ ფასიანი თავშესაფარიც გახსნას. თუ ჩვენ, დღეს, წესს არ მივიღებთ, მაშინ დავრჩებით ერთი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმედად და ამით არაფერი კარგი არ გაკეთდება. ჯარიმა არის გადაცდომა და გადაცდომისთვის გვაქვს სახდელი. სახდელის პირველი სახე არ არის ჯარიმა, პირველი ეტაპი არის გაფრთხილება, რომელიც არ არის მტკივნეული და ეს გაფრთხილებაც ხომ ინფორმაციულია, ამის შესახებ სხვებიც ხომ შეიტყობენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, თ.მესხი და ლ.შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა, ქალბატონებმა: ა.კოხრეიძემ, ხ.არველაძემ, დ.ფხაკაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ბ.ბრეგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ეკა გრიგორაშვილის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N 12 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N12** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“, გამომდინარე აქედან, აღნიშნული ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“; დადგენილების პროექტის მე-2 დანართის სათაური ჩამოყალიბდა დადგენილების პროექტის სათაურისა და მე-2 მუხლის შესატყვისად, შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასური“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“): „მოგესალმებით, მე მაქვს შემდეგი შეკითხვა. წარმოდგენილი ნორმატიული ფასები რა ფაქტორებმა განსაზღვრეს? მე მინდა ჩამოვთვალო 4 ფაქტორი და ამ 4 ფაქტორიდან, რომელმა განაპირობა ფასის შეცვლა: პირველი: ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება, მეორე: მოსახლეობის მსყიდველთუნარიანობის ზრდა, მესამე: ეკონომიკური განვითარება და მეოთხე: ლარის კურსის გაუფასურება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მ.მამასახლისი:** „აღნიშნულ ფასებს განსაზღვრავს საექსპერტო ბიურო, როდესაც დაინტერესებული პირი მიმართავს საექსპერტო ბიუროს, ისინი, ბუნებრივია, აკეთებენ გარკვეულ ანალიზს. საზღვრავენ სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა დონეზე, თუ რა ღირებულებით გაიყიდა სხვადასხვა რეგიონში ქონება. საბაზრო ღირებულებებიდან გამომდინარე, მოხდა ამ ტარიფების განსაზღვრა. თუ ჩვენ გავეცნობით საექპერტო ბიუროს დასკვნას, იქ ვნახავთ, რაზე დაყრდნობით განსაზღვრეს ეს ღირებულება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი“): „ჩვენ, როგორც საკრებულოს დეპუტატებმა, რა ჭრილში შეგვიძლია დავინახოთ ეს ექსპერტიზის დასკვნა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ეს ძირითადად, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობას გულისხმობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **მ.მამასახლისი**: „კიდევ ერთხელ ვამბობ, უნდა ვნახოთ დასკვნა. კვლევით ნაწილში მითითებულია რაზე დაყრდნობით მიიღეს მათ ეს გადაწყვეტილება, რის საფუძველზე განახორციელეს კვლევა და წარმოადგინეს დამატებითი ფასები. გაანალიზება მოხდა იმისა, რომ მოთხოვნა არსებობს ქალაქში არასასოფლო - სამეურნეო მიწების პრივატიზების. აქედან გამომდინარე, მოხდა 3%-იანი, ზოგან 5%-იანი ზრდა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი"): „2020 წელს პირველსა და მეორე ზონაში მიწის ფასი იყო - 170 ლარი, ხოლო 2021-ში მიწის ფასი გახდა 195 ლარი, 2022 წელს - 220 ლარი. ერთი და იგივე ტერიტორიაზე ზრდა ხდება ფასისა და მის გვერდით ტერიტორიაზე იკლებს ფასი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „2019 წელთან შედარებით, მიწის ღირებულება 2020-ში გაიზარდა 15 %-ით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2021- ში აუცილებლად 15%-ით უნდა გაიზარდოს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მათემატიკა არის ზუსტი მეცნიერება და განგვიმარტეთ რას ამბობთ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ჩვენ იმიტომ ვიყიდეთ ეს მომსახურება, რომ მას დაედგინა ეს ფასები. არითმეტიკას ამასთან კავშირი არ აქვს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო კობა, ჩვენ არ ვითვალისწინებთ ერთ ფაქტორს, რომელიც ჩვენ გვეხება. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე, ინტერესებზე. მე შემიძლია გითხრათ, რა ლოგიკა შეიძლება ჰქონდეს ამ იდეას. რამდენიმე პროცენტით მეტით შესრულდა პრივატიზაციის გეგმა 2021 წელს, რაც

რეალურად დაგეგმილი გვქონდა. ეს იმის დასტურია, რომ ინტერესი არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე არსებობს. რაც შეეხება ფასს, როდესაც მოთხოვნა იზრდება, ფასიც უნდა გაიზარდოს. სადაც მოთხოვნა მცირეა, იქ მცირდება ფასი. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებია ეს და მე არ უნდა მიწევდეს ამის განმარტება. კარგია, როცა არის ინტერესი ბიზნესის მხრიდან და ფასის დადგენაზე შეგვიძლია დამატებითი მექანიზმები განვახორციელოთ. თუ კონკრეტული ქონების მიმართ ინტერესი არის მაღალი, ჩვენ შეგვიძლია ამ ქონების ირგვლივ კონკრეტული მექანიზმი გამოვიყენოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მომხსენებელთან მაქვს შეკითხვა. ფასის გენერირებას აკეთებს თვითმმართველობა აუდიტორული ფირმებიდან, ვისაც დავუკვეთავთ ჩვენ, ფასის გენერირებასთან კავშირი არ გვაქვს, როგორც ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, თუ ჩვენთვის პრიორიტეტი არის ქონება, ჩვენ შეგვიძლია მინიმუმზე ქვევით არ ჩამოვიდეთ და უფრო ავწიოთ ფასი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „პირველ რიგში, ბატონო დიმიტრი, თქვენ რა საკითხიც ბრძანეთ, ჩვენ ვადგენთ ყოველწლიურად კანონმდებლობით რაც გვევალება, მიწის ნორმატიულ ფასს, პრივატიზაციის პროცესში მისი შესაბამისი შეფასება ხდება, შემდეგ აუქციონის შესაბამისად ყალიბდება ფასი. ეს არ არის რომელიმე კონკრეტულ ობიექტზე მინიჭებული ფასი. ამას აქვს თავისი პროცედურები, რომლებსაც გავდივართ, იმის შემდეგ შესაძლოა ჩვეულებრივად გაიზარდოს ამის ფასი. მე გეთანხმებით, ბატონო იუზა, რომ ყველა კვლევას გააჩნია მეთოდოლოგია, ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება ფასის ფორმირება და ჩამოყალიბება. ამ მეთოდოლოგიაში, ბატონმა კობა გურულმა რაც ჩამოთვალა, გარე თუ შიდა ფაქტორები, ყველაა გათვალისწინებული. მე დავინტერესდი ამ კვლევის მეთოდოლოგიით, რა პრინციპით მოხდა ფასის ფორმირება და როგორ მოხდა და მივიღე გადაწყვეტილება, რომ ასე სიღრმისეულად არ არის ეს ფასი შესწავლილი და ფაქტობრივად, წინა წლის მონაცემებით არის შეფარდებული. მე ამ კვლევის მეთოდოლოგიისა და დასკვნის გაცნობის შემდეგ ეს შთაბეჭდილება დამრჩა. კარგი იქნება მომავალში, როდესაც ტენდერს გამოვაცხადებთ და ამ ტიპის შესყიდვას მივიღებთ,

დავაკონკრეტოთ მეთოდოლოგია, რა პრინციპის მიხედვით შეიძლება ხდებოდეს აღნიშნული ფასის გაანგარიშება. უფრო კარგი იქნება, უფრო მეტად თუ დაკონკრეტდება, მათ შორის, არამარტო ზონებისა და ქუჩების მიხედვით, ქუჩებზეც არსებობს განსხვავებები ბიზნესისა და ინტერესების კუთხით, შეიძლება ამან ფასის ფორმირებაზე არსებითი მნიშვნელობა იქონიოს. მე ვფიქრობ, რომ ეს ფასი არ არის რეალური. პირობითად ვიტყვი, შეიძლება აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში და აღმაშენებლის ქუჩის დასასრულში იყოს სხვადასხვა ფასები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ბესო, ქონების პრივატიზების ორი მოდელი არსებობს ქვეყანაში. ერთია, როდესაც სახელმწიფო ყიდის ქონებას შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე და მეორე, ფასს ადგენს კონკრეტული განცხადების საფუძველზე, ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით. ადგილობრივ თვითმმართველობას კანონით აქვს დადგენილი, წინასწარ განსაზღვროს მიწის ფასი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ა.კოხრეიძე, ბ.ბრეგაძე, მ.სიმონიძე, მ.ჭოხონელიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 7-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, დ.ფხაკაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ლ.შალამბერიძემ, გ.კილაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N 13 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ **დადგენილება N 13** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 თებერვლის N44-4422047244 წერილობითი მომართვის შესაბამისად“; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სიტყვის: „მერს“, შემდეგ, ჩაემატა მერის სახელი და გვარი და განკარგულების პროექტის პირველი მუხლის პირველი ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს“; გამომდინარე იქედან, რომ საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი არის თანდართული საინფორმაციო მასალა და მისი წარმოდგენილი სახით, განკარგულების დანართად ჩამოყალიბება შესაძლებლობას მოკლებულია, განკარგულების პროექტის პირველი მუხლის ფრჩხილებში არსებულ მინაწერში ჩაემატა სიტყვა: „დედანს“ და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „(საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი განკარგულების დედანს თან ერთვის)“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მ.მამასახლისმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, გ.კილაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, მ.სიმონიძე

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ბატონებმა: დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N52 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N52** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 23 თებერვლის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი შემდეგი რედაქციით: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 თებერვლის N44-4422047247 წერილობითი მომართვის შესაბამისად“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პ.ადამაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და იმ განყოფილებას, რომელიც მუშაობდა ამ საკითხზე. მთავარი ამ დოკუმენტის შემუშავებისა და გაცნობის დროს იყო ის, რომ ინკლუზიური და გამჭვირვალე იყო მასში მონაწილეობა და მისი შემუშავების პროცესი, მათ შორის, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტმა პოლიტიკურ წონა შეიძინოს. როდესაც ამ დოკუმენტს მივიღებთ, მნიშვნელოვანია ბატონი ზაზას, უშუალოდ პარლამენტის წევრის, მონაწილეობა ამ დოკუმენტის იმპლემენტირების პროცესში, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო მას. სამწუხაროდ, წინა მოწვევის საკრებულოში არ იყო ოპოზიციური სპექტრის მხრიდან აქტიურობა ამ პროცესის ირგვლივ. ეს დოკუმენტი ეხება სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალურ ახალგაზრდულ პოლიტიკას და ამ სტრატეგიაში ასახული თითოეული მიმართულება შემდეგ უნდა მოხვდეს და გადაითარგმნოს ფისკალურ შესაძლებლობებში და ადგილობრივ ბიუჯეტში. ადგილობრივ დონეზე ეს არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური ინიციატივების ხელშეწყობას. ეს არის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელმაც უნდა გაატაროს ისეთი მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას, მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კულტურულ, სოციალურ და სხვადასხვა აქტივობებს. რაც შეეხება არსებულ პროგრამებს, შეგეძლოთ გენახათ და გაცნობოდით ბიუჯეტის დამტკიცების დროს. რა შეგვიძლია გავაკეთოთ უკეთ, ამაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ და თუ გაქვთ კონკრეტული წინადადებები შეგიძლიათ დააფიქსიროთ.“

საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი **ზ.ლომინაძე:** „მადლობა ბატონ პეტრეს, რომელმაც სრულად მოგვახსენა თუ რამხელა სამუშაო იქნა გაწეული. სწორედ ეს სტრატეგია და სამუშაო გეგმა არის სრულ შეფარდებაში მოსული მთავრობის

დადგენილებასთან და პარლამენტის ახალგაზრდობის კომიტეტთან. ეს არის 2022-2024 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის. ეს არის ჩვენი ქალაქის ყველა სფეროს მომავალი. მე იმედი მაქვს, რომ ის სამუშაო, რომელიც გასწია ამ ორგანიზაციამ დღეს, ამ საკრებულოს სხდომაზე, როგორც არასდროს, ერთიანად იქნება მხარდაჭერილი საკრებულოს ყველა წევრის მიერ, ვინაიდან ვთვლი, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **თ.მესხი:** „ბატონო ირაკლი, თქვენ დააფიქსირეთ, რომ ოპოზიცია არ იყო ჩართული ამ სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მე პირადად არ ვიცოდი, თორემ აუცილებლად ჩავერთვებოდი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო თედო, წინა მოწვევის საკრებულოზე იყო საუბარი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.ქებულაძე:** „გუშინ, ჩვენ, ეს საკითხი განვიხილეთ კომისიურ ფორმატში და მადლობა მერიის სამსახურს ამ პროგრამისთვის. ახალგაზრდობის სამსახურისათვის პრიორიტეტია ურთიერთობა ახლგაზრდებთან, მათი მაქსიმალური ჩართულობა და ამ ჩართულობის პროცესის უზრუნველყოფა ჩვენი ქალაქის მომავლისთვის. გუშინ ამან გამოიწვია დიდი დაინტერესება, იყო დამაზუსტებელი კითხვები, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრებები, რომ მომავალში შეიძლება ამ პროექტში ცვლილებების შეტანა მისი დახვეწის მიზნით. ჩვენ ვითანამშრომლებთ ახალგაზრდებთან, სტუდენტურ თვითმმართველობებთან, რომლებიც ნამდვილად არიან დაინტერესებული ჩვენი ქალაქის მომავლით. მადლობა ბატონო პეტრე, თითოეულ თქვენგანს ამ პროექტისთვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „სტრატეგიასთან დაკავშირებით აბსოლუტურად გეთანხმებით. ოტია იოსელიანი ამბობდა: „ჩემოდანივით, რომ ამოიდებ ნასწავლს და სხვა ქვეყანაში წაიღებ, შენ ქვეყანას უნდა მოახმაროო". სწორედ, უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რომ ცოდნას, რომელსაც ჩვენ მათ ვაძლევთ, მის ქვეყანას

მოახმარონ. თერგდალეულებმა, რომლებიც იყვნენ წასულები, დაბრუნების შემდეგ შექმნეს ის კულტურა, რომელიც გაგვაჩნია. მე მივესალმები ამ პროექტს, მაგრამ მაინტერესებს რამდენად სიღრმისეულად ვუდგებით ჩვენ ამ ახალგაზრდებს, რა აწუხებთ მათ, რათა არ მოხდეს ამ ჯანსაღი თავების გადინება. ესენი ჩვენთან უნდა დარჩნენ და ჩვენ ქვეყანას უნდა მოახმარონ თავიანთი სწავლა და განათლება. ვფიქრობ, მეტი შეხვედრებია საჭირო ამ ახალგაზრდებთან. ჩემი შვილი წელს ამთავრებს ისტორიულ ფაკულტეტს, საკმაოდ განათლებულია მისი ასკისათვის და ვიცი, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ სამსახურს ვერ იპოვის. ჩვენ, ამაზე ვნერვიულობთ, ვინაიდან, კიდევ ერთი კარგი თავი გავა საქართველოდან. ეს ძალიან დასაფიქრებელია და ამ მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი, იმიტომ, რომ აეროპორტში აღარ არის ადგილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი"): „ჩემთან, საკრებულოში წერილი შემოვიდა ერთ-ერთი მეწარმიდან, რომელიც ითხოვს შეხვედრას აკაკი წერეთლის ლექტორატთან. ეს კომპანია გვთავაზობს 5-6 ახალგაზრდის ვაკანსიას თავისუფალი გრაფიკით, რათა სწავლაში არ შეეშალოთ ხელი. თუ იქნება მზაობა, მე მზად ვარ მოვიძიო კიდევ რამდენიმე კომპანია და ის ახალგაზრდები, რომლებიც ჩამოსული არიან რეგიონებიდან და მათთვის მნიშვნელოვანია 500-600 ლარიანი შემოსავალი, დავასაქმო. ასე შევძლებთ რამდენიმე ათეული ახალგაზრდის დასაქმებას."

საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი **ზ.ლომინაძე:** „აი თქვენი შვილისთვისაც მოიძებნა ქალბატონო ანა სამუშაო. ოპტიმისტურად უნდა შევხედოთ ამ საკითხს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, ბატონი **თ.მესხი:** „ძალიან ბევრი ჩემი თანატოლი ტოვებს საქართველოს და მიდის სხვადასხვა ქვეყანაში. მომავალს ვერ ვხედავთ და ამაზე უნდა ვიმუშაოთ. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდში, ქუთაისი მოსახლეობის რაოდენობით გადავიდა მესამე ადგილზე. ქვეყნიდან მიდის ის კატეგორია, რომელიც აქ უნდა რჩებოდეს და აქ ქმნიდეს პროდუქტს. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდებს."

საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი **ზ.ლომინაძე:** „ქუთაისი მესამე ადგილზე გადავიდა არა იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ მოვიდა მმართველობაში, არამედ იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების დროს, ხელვაჩაურის რაიონი შეუერთდა ბათუმს. მიდიან ქუთაისიდანაც, ბათუმიდანაც, თბილისიდანაც, გერმანიიდანაც. გერმანია ექიმებისა და ექთნების სერიოზულ დეფიციტს განიცდის. მიგრაცია ამ საუკუნის ერთ-ერთი დამახასიათებელია. ამიტომ, უნდა შევქმნათ ეს ყველაფერი, რომ ჩვენი ინტელექტუალური ახალგაზრდების ბაზა დარჩეს ქუთაისში მითუმეტეს, როცა სამი უნივერსიტეტია ჩვენს ქალაქში. ჩვენ ვართ ყველაზე ძველი, ევროპული ქალაქი და ამიტომ, უნდა დავდგეთ ყველა ერთად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გასაგებია, რომ მიგრაცია უფრო გლობალური პრობლემაა, მაგრამ ყველამ იდარდოს თავისი და ჩვენ ვიდარდოთ ჩვენი. როდესაც ეს სტრატეგია გაიშლება და წავა მუშა პროცესი, მინდა რჩევის, ან სურვილის სახით გითხრათ, რომ მე ვარ იმერეთის ინტელექტ კლუბის წარმომადგენელი. შეიძლება ამას თამაში ჰქვია, მაგრამ ამას აქვს ძალიან დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა. იყო პრეცენდენტი, რომ სასკოლო ჩემპიონატის ჩატარება ტენდერის გზით, გადაუწყვიტეს არაკომპეტენტურ პირს და უკმაყოფილო დარჩა ყველა. კარგია თუ გავითვალისწინებთ ასეთი საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარების დროს არა მარტო ფინანსურ მხარეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „ყველას შეგვტკივა გული ახალგაზრდებზე და ჩვენს ქალაქზე, მაგრამ ისეთ საკითხებში, რომლებსაც თავად ეთანხმებით, ჩაერთეთ, პასიურია თქვენი პოზიცია, როდესაც არ ხართ წინააღმდეგი და თავს იკავებთ. ამ საკითხებს შეგიძლიათ დაუჭიროთ მხარი და არავინ გიწყენთ, თუკი არ ხართ წინააღმდეგი, დაეთანხმეთ. თავი შეიძლება შეიკავოთ მაშინ, როდესაც არც წინააღმდეგი ხართ და არც ეთანხმებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რას ნიშნავს ასეთი მიდგომა, გვინდა თავს შევიკავებთ და გვინდა არა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვერ გაგარძელებინებთ ბატონო გია. ახლა აქ საუბარია თუ რა განსხვავებაა თავის შეკავებასა და წინააღმდეგობას შორის. უკაცრავად, მაგრამ თუკი პლურალიზმზეა საუბარი, მაშინ, რაც კი საკითხი გამოსულა დღემდე აქ, 18 მექანიკურად აწეული ხელია და იქნებ თქვენსკენ დაფიქრდეთ. იმაზე მეტი შეურაცხყოფა არაფერია, ადამიანი გამოხატავდეს თავის პოზიციას და მოუწოდებდე როგორ უნდა მოიქცეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „აქ წარმოდგენილ ნებისმიერ ადამიანს გააჩნია თავისი აზრი და მისი დაფიქსირების უფლება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მ.რიჟამაძე:** „რატომ გვაყენებთ შეურაცხყოფას, როცა ამბობთ, რომ მექანიკურად ვწევთ ხელს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენი ხელისუფლების დროს ორგანულ კანონში შედიოდა ცვლილებები, რომელიც წინასწარ იყო შეთანხმებული და კონკრეტული ადამიანების ინტერესებს იყო მორგებული. აქ საუბარი არის იმაზე, რომ როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ახალგაზრდობის პოლიტიკაზე, კონკრეტულ დოკუმენტზე, ამ პოლიტიკის ირგვლივ ერთიანი გადაწყვეტილებები დავაფიქსიროთ და ამისკენ მოგიწოდათ ბატონმა ზაზამაც და ბატონმა გიამაც. ახალგაზრდულ პოლიტიკას როცა ეხება საქმე, გთხოვთ, პასუხისმგებლობა გვქონდეს ყველას ერთიანად გაზიარებული, ეს იყო და ეს. საკითხები, რომლებიც სხდომაზე შემოდის განსახილველად, თქვენთვის წინასწარ ცნობილია, არ დაგვიმალავს. კეთილი ინებეთ, შედით ელექტრონულ პროგრამაში და ნახეთ. დღის წესრიგი ქვეყნდება შვიდი დღით ადრე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „წინა სხდომაზე შევთანხმდით, რომ საერთო განცხადებას გავაკეთებდით ამ საკითხზე, მაგრამ ჩვენი ინიციატივა თქვენ ყურად არ იღეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობთ, მე ყოველთვის ვერიდები სუბორდინაციის პროცესს, მათ შორის, ხელისუფლების შტოებს შორის. დღესაც შეგიძლიათ ამოიღოთ ჩემი განცხადება და თითოეული დეპუტატის განწყობა, რომელიც აქ იყო."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „სხდომა მიმდინარეობს პირდაპირ ეთერში და როცა ვსაუბრობთ წევრის მექანიკურად აწეულ ხელზე და თანხმობაზე, მოსახლეობას რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს საკითხები პირდაპირ გამოდის საკრებულოს სხდომაზე და ვუყრით კენჭს. ეს საკითხები განხილულია კომისიაზე, ბიუროზე და შეთანხმებული ვართ, რომ გამოვიტანოთ საკრებულოს სხდომაზე. ბუხაიძის ქუჩასთან დაკავშირებული საკითხი დღეს მოიხსნა სხდომის დღის წესრიგიდან, ანუ, არსებობს კითხვები და ეს არის მექანიკურად აწეული 18 ხელი? ჩვენ იმას ვუწევთ ხელს, რის სისწორეშიც ვართ დარწმუნებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „რატომ თვლით, რომ ადამიანი, რომელიც იკავებს თავს, საკითხს უნდა მისცეს ხმა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „ბატონმა გიამ თქვა, რომ შინაგანად, როცა იცით, რომ დადებითი და გადასაწყვეტი საკითხია, ნუ შეიკავებთ თავს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება"): „საკრებულოს წინა სხდომაზე განიხილებოდა ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი. ქალბატონო ანა, ძალიან დიდი პატივს გცემთ როგორც მსახიობს და ხელოვნების არაჩვეულებრივ მუშაკს, მაგრამ როცა ტელევიზიით ვნახე თქვენი ინტერვიუ, დავრჩი გაოგნებული. მაინტერესებს, როცა თქვენ თქვით, რომ ყოველი მე-4 ბავშვი შიმშილობს, რომელმა ჩვენგანმა გითხრათ, რომ ეს მისაღებია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „არა, მე ასე არ მითქვამს. მე ვთქვი: „ამ

მთავრობისთვის მშიერი ბავშვები ნორმა ყოფილა“ და ამაში საქართველოს ხელისუფლება ვიგულისხმე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კარგია თუ გამოვიყენებთ პარლამენტის გამოცდილებას კომუნიკაციის საკითხში. არა მგონია, ქალბატონო ანა, ვინმესთვის და მითუმეტეს ხელისუფლებისთვის, იმ პასუხისმგებლობის პირობებში, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას გააჩნია, რაიმე ფორმით ნორმა იყოს, კონკრეტული ბავშვის იქნება ეს, თუ ნებისმიერი ადამიანის, სოციალური გაჭირვება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ხომ არის ოფიციალური ინფორმაცია, რომ საქართველოში ყოველი მე-4 ბავშვი შიმშილობს, ეს ჩემი მოგონილია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ლ.შალამბერიძე და ბ.ბრეგაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 24 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ბატონებმა: დ.ბახტაძემ, თ.მესხმა, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, მირზა მამასახლისის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის **N53 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“ **განკარგულება N 53** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს წევრთა მიერ, გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით მქონდა მნიშვნელოვანი მოსაზრება. კერძოდ, ეს ეხებოდა სკოლის მოსწავლეებს. მსოფლიო გამოწვევაა, რაც ხდება პანდემიასთან მიმართებაში. ამ ფაქტმა ძალიან ცუდად იმოქმედა სკოლის მოსწავლეებზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია და აუცილებელიც არის, სკოლის მოსწავლეების ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მიუხედავად იმისა ჩართულები არიან თუ არა სპორტულ და მუსიკალურ სექციურ განყოფილებებში. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, რომ სკოლის მოსწავლეებს მეტი ყურადღება დაეთმოთ ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყურადღება მიაქციონ სკოლის მოსწავლეებს. რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, მინდა ასეთი მოსაზრება ვთქვა, 2016 წელს შევიდა ცვლილება „განათლების შესახებ“ კანონში დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. მაშინ პანდემიასთან მიმართებაში, საერთოდ არანაირი ვითარება არ გვქონდა, მაგრამ 2020 წელს შევეჯახეთ ამ დიდ პრობლემას. სამწუხაროდ, 2016 - 2020 წლის მანძილზე ვერ უზრუნველყო განათლების სამინისტრომ დისტანციური სწავლების გამართულად მუშაობა. დისტანციური სწავლება, სამწუხაროდ, დღესაც არის გაუმართავი და ეს აისახება ჩვენი შვილების განათლებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „2016 წელს ნამდვილად შევიდა ცვლილება და ჩემი სკოლა იყო ჩართული საპილოტე რეჟიმში. საქართველოდან სულ 200 სკოლა მონაწილეობდა. ეს საპილოტე პროგრამა დიდხანს არ გაგრძელებულა, სადღაც 1 კვირა გაგრძელდა. მაშინ დასკვნა დაიდო ისეთი, რომ ეს სისტემა იმუშავებს, თუ საჭიროება შეიქმნა. თუმცა, მაშინ ამ სიტუაციას ვერავინ წარმოიდგენდა. საკრებულო კომპეტენტური არ არის იმაში, რაც განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს. ჩვენ, ერთადერთი რაც შეგვიძლია, არის ის, რომ თუ ვინმე მერიას მომართავს, რომ არ აქვს ტექნიკური საშუალება, ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში, დარწმუნებული ვარ, მას ყველა ვარიანტში მოუძებნის მერია

საშუალებას. განსაკუთრებით, ეს ეხებათ სოციალურად დაუცველებს. მე რაც ჩავიხედე, იმდენი კარგი რამ კეთდება მათთვის, გინდ სპორტულ პროგრამებში, აბიტურიენტების მომზადების პროგრამებში, ეს ფუფუნება არ აქვთ მათ, ვინც არ ატარებს სოციალურად დაუცველის სტატუსს. მუსიკალური და სპორტული სასწავლებლები უფასოა მათთვის. წინა საკრებულოს სხდომაზე გაჟღერდა, რომ შენდება საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, ეს მათთვის უფასო იქნება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „ქალაქში რამდენიმე ადგილზე არის ორმოები ამოთხრილი და შემდეგ მიტოვებული, მაგალითად, აღმაშენებელზე არის ჭის თავები, მიმდებარე ტერიტორიები არის ამოთხრილი. ასეთი პრობლემა არის „კახიანაურზე", მე-3 ქვეით ბრიგადასთან. საავტომობილო მოძრაობის ნახევარი მხარე გადათხრილია და მიტოვებული. როგორც გავარკვიე, ტენდერთან დაკავშირებით არის ხარვეზი და ვერ ხერხდება ორმოების ამოვსება. იქნებ, ამ საკითხს მივაქციოთ ყურადღება. კუპრაძის ქუჩაზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და მთელი სიმძიმე მოდის მე-3 ქვეითი ბრიგადის მიმდებარედ. თუ შესაძლებელი იქნება, მოვაგვაროთ ეს საკითხი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მე მინდა გამოვეხმაურო ჩემს კოლეგას. რაც შეეხება აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციას, რთული პროექტი იყო, ვინაიდან, მიწისქვეშა კომუნიკაციები არ იყო თანხვედრაში იმ პროექტთან, სისტემა იყო მოძველებული და აქედან გამომდინარე, გაგრძელდა ეს პროექტი ასე დიდხანს. რაც შეეხება ორმოებს ჭების ირგვლივ, ამას არ აკეთებს თვითმმართველობა. ამას აკეთებს ინფრასტრუქტურის სამინისტრო. მათთან მქონდა საუბარი, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან რთულია ნიშნულების დაჯენა. ეს პრობლემა საქართველოს ყველა ქალაქში არსებობს, რადგან, ძნელია ჭების ნიშნულების დაგების პრობლემა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შესაბამის სამსახურს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ბატონი თედოს მიერ დასმულ საკითხს. მინდა ვუპასუხო ქალბატონ ხათუნას. ადგილობრივ

თვითმმართველობას გადმოეცა ბავშვთა უფლებების კუთხით მთელი რიგი უფლებები, რადგან ბავშვთა საკითხები ადგილობრივ თვითმმართველობას უკეთ ესმის, რომელიც უნდა განახორციელოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. თვითმმართველობის კომპეტენცია გახდა ბავშვთა უფლებებზე ზრუნვა. მე ვიცი, რომ აქტიურად მუშაობს ამ მხრივ შესაბამისი სამსახური და მერის მოადგილე, ბატონი ირაკლი ქარქაშაძე. თვითმმართველობამ მთელი რიგი საკითხები მიიღო, მათ შორის ადმინისტრირების საკითხში გაუმჯობესდეს პროცესები. „დემოკრატიის ჩართულობის ცენტრთან“ ვმუშაობთ ამ საკითხზე, „Word vision“-იც ჩართულია, ასევე „გაეროს ბავშვთა ფონდი“ მონაწილეობს ამ პროცესებში. რაც შეეხება განათლების სისტემას, იმ პროცესში, რაც განათლების სექტორმა უცებ მოახდინა, ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ხარვეზები იქნება. ვერ იქნება საპირწონე დისტანციური სწავლება და ცოცხალი სასწავლო პროცესი, თუმცა, რაც განათლების სისტემამ, ჩვენმა პედაგოგებმა უცებ მოახდინეს, ეს იყო სამაგალითო და მნიშვნელოვანი. მთელი რიგი გამოწვევები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე:** „პირველ რიგში, გავამახვილებ ყურადღებას, რომ სოციალურ სამსახურში არსებობს ბავშვთა განყოფილება, „იუნისეფის“ დაფინანსებით და მათი აქტიური ჩართულობით შემუშავდა კონცეფცია, რომელსაც მოვაწერეთ ჩვენ ხელი 2020 წელს, რომ გარემო ქალაქში იყოს ბავშვზე მორგებული და მათი საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული. დაახლოებით, 3000-მდე ქალაქი არის ამ სტატუსის მატარებელი, საქართველოში მხოლოდ თბილისსა და ბათუმს აქვს ეს სტრატეგია კიდევ. აქ არის ჯანსაღი ცხოვრება, სრულფასოვანი განათლება, სხვადასხვა აქტივობები, ამ სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა სამსახურები. როდესაც ჩვენ განვსაზღვრავთ სტრატეგიას, ამას ვუგზავნით „იუნისეფს“ და შემდეგ ეს ორგანიზაცია გვაძლევს მითითებებს. რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, ჩვენ გამოყოფილი გვაქვს თანხა ამ პროგრამაში და ვეხმარებით მსგავსი საჭიროებების მქონე ბენეფიციარებს. შარშან, დაახლოებით, 10 ოჯახს ინტერნეტის ქსელი შევუყვანეთ ოჯახებში. ინფორმაციაზე, რაც მოვიდა ჩვენამდე, იქნა

ჩვენს მიერ მოგვარებული. ასევე, მომართვა იყო რესურს ცენტრიდანაც და შესაბამისად, ყველას მოვუგვარეთ ეს პრობლემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონ ირაკლი ქარქაშაძეს მინდა მადლობა გადავუხადო იმ დახმარებისათვის, რაც გაუწია მრავალშვილიან ოჯახს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-4 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:54:55 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის,ნ.გუგავასა და
ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.